ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

N 530-02
02/10/2018

530-02-3-201810021146

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე მუხლით განსაზღვრული
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თვის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2018 წლის ცხრა თვეში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოსულია სულ 57 წერილობითი მოთხოვნა, აქედან, 8 საჯარო მოთხოვნა კუთვნილებისამებრ, რეაგირებისათვის გადაეგზავნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას, რომლის თაობაზეც, ეცნობა მოთხოვნების ავტორებს.

ყველა საჯარო მოთხოვნაზე პასუხი გაცემულია კანონით დადგენილი ვადების დაცვით.

ერთი მოქალაქის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო, საჯარო მოთხოვნის იმ ნაწილზე, რომელიც ეხებოდა სხვა პირის პერსონალური მონაცემების გამოთხოვას, მას ეთქვა უარი.

სამ მოქალაქეს გაეცა მოტივირებული უარყოფითი პასუხი (ერთი მოთხოვნა სცილდებოდა საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებს, ხოლო, ორი მოთხოვნა ეხებოდა ისეთი დოკუმენტაციის მიწოდებას, რომელთა შესახებაც საკრებულოს გადაწყვეტილება მიღებული არ ჰქონია).

უარის თქმისას, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი ეყრდნობოდა საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს კანონს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და საქართველოს კანონს „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“ .

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით საკრებულოს აპარატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე, საჯარო დაწესებულებაში არცერთი მოთხოვნა არ შემოსულა.

საჯარო მოთხოვნის დაკმაყოფილების ან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, სხვადასხვა დროს, გადაწყვეტილება მიღებული აქვს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს, ივანე ჟორჟოლიანს.

მის.: საქართველო, ქუთაისი 4600, რუსთაველის გამზ. №3

ტელ.: (0431) 24 40 90

საანგარიშო პერიოდში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევასა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელების დადების შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკრებულოს მიერ მიღებული არცერთი გადაწყვეტილება გასაჩივრებული არ არის, შესაბამისად, გასაჩივრებასთან დაკავშირებით, საკრებულოსათვის, ხარჯების გადახდის ვალდებულება სასამართლოს მიერ დაკისრებული არ ყოფილა და სასამართლო ხარჯები ამ მიმართულებით არ გაწეულა.

ივანე ჟორჟოლიანი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

საკრებულოს აპარატი